

ნასახელარ ზმნათა ოკაზიური ფორმები თანამედროვე ქართულ პოეტურ დისკურსში

ნატო ბერიძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nato beridze28@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2023.03>

ქართული მხატვრული ლიტერატურის ენაში მრავლადაა ზმნური ოკაზიონიზმი; ამ უჩვეულო ფორმებს ინფორმაციულობასთან ერთად ლაკონიურობაც და ემოციური შეფერილობაც ახასიათებს.

თანამედროვე ქართულ პოეტურ დისკურსში საყურადღებოა ზმნურ ოკაზიონიზმთა წარმოების მოდელები გვარის მიხედვით, პარონომაზიული სინტაგმები, სადაც ნასახელარ ზმნასთან დგას იმავე ფუძის სახელი (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება ან წინადადების სხვა წევრი, ირონიული ელფერის კალამბურული ნეოლოგიზები, ასევე ამგვარ ზმნათა საწარმოებელი ფუძეები და მაზმნავებელი ელემენტები.

მნიშვნელოვანია სემანტიკური თუ სტილისტიკური ნიუანსებიც (ინსტრუმენტატივი, გარდაქცევითობა და სხვა), რომლებიც ინფორმაციულობასთან ერთად ქართული ენის ფართო სიტყვასაწარმოებელ პოტენციალსა და მოქნილობაზე მიუთითებს.

ინსტრუმენტატივის გამოსახატავად მოქმედებითი გვარის ზმნებში აწმყოში გამოიყენება სამწევრიანი მოდელები: ი- + სახელის ფუძე + ავ თემის ნიშანი (გ-ი-ლამპრ-ავ-ს.); უ- + სახელის ფუძე + ავ თემის ნიშანი (უ-ნისლ-ავ-ს.); ა- + სახელის ფუძე + -ებ თემის ნიშანი (შე-ა-ნამქერ-ებ-ს.); ნამყო ძირითადად კი ზმნისწინი გამოიყენება სიტყვაწარმოებითი ფუნქციით. მოქმედებითი გვარის ინსტრუმენტატივები ნაწარმოებია ორწევრა მოდელებით: სახელის ფუძე+ ავ თემის ნიშანი.

საშუალო გვარის ზმნებში კი ორწევრიანი მოდელებია: სახელის ფუძე+თემის ნიშანი. აღნიშნული გვარის ნასახელარ ზმნათა საწარმოებელია -ობ თემის ნიშანი, მაშინ როცა მოქმედებითი გვარისაში ებ, ავ არის, ვნებითისაში კი- ებ.

ახალ ზმნათა შესაქმნელად გამოიყენება არსებითი და ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელი და ზმნიზედები. მოკლედ, ზმნის ახლებური ფორმა მიღებულია სხვა მეტყველების ნაწილებისგან აფიქსების დართვით. ზმნაში შეიძლება ჩანაცვლებული იყოს ზმნისწინი ან თემის ნიშანი, ფუძე (შეიკუმშოს ან არ შეიკუმშოს, გაივრცოს ან პირიქით, ანდა ფუძისეული ხმოვანი შეიცვალოს) ან პირიანობა.

ზოგჯერ დაკანონებული მოდელის ნაცვლად სხვა რომელიმე ყალიბიც გამოიყენება, რაც კიდევ მეტად საინტერესო ფაქტია.

თუ ნასახელარი ზმნის ოკაზიური ფორმა, ე.წ. ერთჯერადი სიტყვა, სალიტერატურო ენაში დამკვიდრდება, ლექსიკური ფონდის გამდიდრების საშუალებად იქცევა. პროზასა და პოეზიაში განსხვავებულია ამგვარ ფორმათა შექმნის მიზეზები და შემდგომი გავრცელების შანსიც.

საკვანძო სიტყვები: ზმნური ოკაზიონიზმი, პარონომაზიული სინტაგმები, მოდელები

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ქართული მხატვრული ლიტერატურის ენაში ზმნურ ოკაზიონალიზმთა სიმრავლის შესახებ [შანიძე, 1919; კიკნაძე, 1946; გოგოლაშვილი, 1977; მუზაშვილი, 1984; მისივე, 1993; ჟღენტი, 1986; შენგელია, 1990; კობიაშვილი, 1998; ლოლაძე, 1998; ფეიქრიშვილი, 2009; ჭიკაძე, 2008; ტუსკია... 2014; ოშიაძე, 1995; მისივე, 1998; კომორიძე, 2010, ზექალაშვილი...2015..].

პროზასა და პოეზიაში განსხვავებულია ამგვარ ფორმათა შექმნის მიზეზები და მათი შემდგომი გავრცელების შანსიც. ყველას ახსოვს გურამ დოჩანაშვილისეული ნეოლოგიზმები, ოკაზიური ნასახელარი ზმნები: **ჩამოლაბორანტება**, **გაუმცროს-თანამშრომლება** და დათო ტურაშვილისეული **გატელევიზორება**. რომან „ჯინსების თაობის“ ნასახელარი ზმნა **გატელევიზორება** კარგად ასახავს კომუნისტურ აგიტაციას, როგორ არცხვენდნენ კომუნისტები ტელევიზიის საშუალებით იმათ, ვინც საბჭოურ პრინციპებს არ ეწინააღმდეგებოდა.

თ. ზვიადაძე მონოგრაფიაში „მწერლის ენის საკითხები“ სიტყვაწარმოებაში განიხილავს დ. კლდიაშვილის ნასახელარი ზმნებს: **დაცალცალდნენ**, **ასიცოცხლებენ**, **შეეხალისოს**, **ვეთავაზებით**, **ვხელსაქმარობთ** [ზვიადაძე, 2009: 63].

რ. ზექალაშვილმა და ელ. კიკნაძემ შეისწავლეს ზმნური ნეოლოგიზმები ქართულ პოეტურ დისკურსში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2015. მათ გამოყვეს ნეოლოგიზმების წარმოების მოდელები XX საუკუნის ქართველი პოეტების (გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, ტერენტი გრანელის, ლადო ასათიანის, ალექსანდრე საჯიას, შოთა ნიშნიანიძის, მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის, ვახტანგ ჯავახიძის, ტარიელ ჭანტურიას) ენაში.

პოეზიაში ხშირია პარონომაზიული სინტაგმები: ნასახელარ ზმნასთან დგას იმავე ფუძის სახელი (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება ან წინადადების სხვა წევრი): **ღმერთი**

ღმერთო, ცაცა იცო“ (რუსთველი, 1957:664,3); „მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“ (იქვე, 820,4); „ჩემმან ქედმან მიიქედნეს“, „აზავრები ვააზავრე“ [ტუსკია...2014:64].

„ერი გაერდა! ხალხი გახალხდა! (მაჭ. 1991:9); ქოლგა გადაქოლოდა“ (ჯავ. 1986:29); „ღმერთსაც გააღმერთებ და წიგნსაც გააწიგნებ“ (ჯავ. 1986:126); „ტაშებით ნულარ მეტაშტაშები (ჯავ. 1986:288) „ოღონდ აკრობატებივით წაიაკრობატონო!“ (ჯავ. 1986:78).
საინტერესო მაგალითია ლექსში: **მემცხეთა მცხეთა“** (ლ. გახარია, იხ. [ტუსკია... 2014:64].

ზმნურ ნეოლოგიზმთა წარმოების სხვა საშუალებათა შესახებ მკვლევრები ასკვნის: „ახალ ზმნათა შესაქმნელად XX საუკუნის ქართველი პოეტები იყენებენ არსებით და ზედსართავ სახელებს, რიცხვით სახელსა და ზმნიზედებს. ამ შემთხვევაში ზმნის ახლებური ფორმა მიღებულია სხვა მეტყველების ნაწილებისგან აფიქსების მოშველიებით; ზმნაში შეიძლება ჩანაცვლებული იყოს ზმნისწინი ან თემის ნიშანი, იყოს შეცვლილი ფუძე (შეკუმშული, გავრცობილი, ხმოვანგამოცვლილი) ან პირიანობა.

საკუთარ და საზოგადო არსებით სახელთაგან ნაწარმოებია: **დაითერგება** (ლეონ.1); **წავიდავითოთ** (ჯავ.1986:158); **ვიამირანო** (მაჭ. 1991:65); **გამადალტონიკე** (ჯავ. 1986: 396); **შემომამივებს** (ტაბ. 2011:131); **გაიაპრილებს** (ჯავ. 1986, 106); **ვანაღვერდალე** (შალ.1985:3), **ყანაობს** (გრიშ.1989:171), **ამოჭიაკოკონდა** (ჯავ.1986:264), **შემოკარავდნენ** (ჯავ.1986:401), **შემოშიკრიკდა** (ჯავ.1986:365), **ამთვარებულან** (აგარ. 1985:16), **ვემგოსნები** (შალ. 1985:43) და სხვ.

ზედსართავ და რიცხვით სახელთაგან წარმოქმნილია: **ამოითეთრა** (ლეონ. 2008:54), **გაუტოლადდი** (გრიშ. 1989:232), **გამუდმივდება** (აგარ. 1985:19), **ესაკადრისა** (გელ.1978:148), **აშარშანდელებს** (ჯავ.1986:17); **ავაშვიდე** (გრიშ.1989:148), **გაორმოცდაორდები** (ჯავ. 1986:124).

ზმნიზედაა ამოსავალი ფორმებში: **ითანდათანა** (ტაბ.2011:199), **ავმარტოვდი** (გრიშ. 1989:157) და სხვ.

ზოგ ზმნაში ჩანაცვლებულია ზმნისწინი: **ავაფერადე** (ასათ.1979:109); **გადმოიღერა“** (საჯ.1978:209). სასხვისო ქცევის ფორმით გვხვდება ზმნური ნეოლოგიზმი **დაუფარჩოს** (გზა ფარჩად უქციოს, ფარჩა დაუფინოს ფიანდაზად): „მანამ შენს თანადარს გზები დაუფარჩოს“ (ტაბ. 2011:215); **დაუფარჩოს!**“ (ლეონ. 2); ქველ: ს. მგალობლიშვილი, ა. წერეთელი, შ. არაგვისპირელი და ე. ნინოშვილი). გარდაქცევითობის ნიუანსს შეიცავს ოკაზიონალიზმი **„დამისაგნა“** (მან მე ის) (მაჭ. 1991:555).

ვნებითი გვარის ზმნურ ნეოლოგიზმებში ჭარბობს დ-სუფიქსიანი ფორმები **აგიწაღვერდა** (გრიშ. 1989:216), **ათინათინდა** (ასათ. 1979:67); **ვერცხლდება** (ტაბ. 2011:67);

თავთავდება (შალ. 1985:16), გაქარბუქდა, შემოშოკრიკდა (ჯავ. 1986:365); ამთვარებულან (აგარ. 1985: 16).

ე-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები: ეალუბლება (ტაბ. 1); ემგოსნება (შალ. 1985:43); მოევარდიანა“(ლეონ.3). მიჩნევის ვნებითები: ეჯადოსნება (ლეონ.3); გებადაგება (მაჭ. 1991:53); მეზულბულება (ნიმ.).

საშუალო გვარის ზმნური ნეოლოგიზმებია ნიაგობდა (გრიშ. 1989) ყანაობს! (გრიშ. 1989:171); მერცხლაობდნენ (გრიშ. 1989:185), შოლტაობდა (გრიშ. 1989:138; ქეგლ., VII:1426); იცისარტყელა (ზ.კანდიდაშვილი); „კელაპტარობს“, „იხელახლებს“ (მაჭ. 1991:301); მოიპარიზა, მოირომა, მოისტამბოლა, მაკალმხაზა“ (მაჭ. 1991). ანუ: ნეტა აქ კალმახი დამაჭერინა.

ირონიული ელფერის კალამბურული ნეოლოგიზმებია მიეპარდონა“(ჯავ. 1986:255), ჩააფულფულა“(ჯავ. 1986:290); „გამოაკადემიკოსდა“(ჯავ.1986:139)

მოძიებული ფორმებით ავტორები ასკვნიან ქართული ენის ფართო სიტყვასაწარმოებელი პოტენციალისა და ახლებური სემანტიკური ნიუანსების, ექსპრესიულობისა და მოქნილობის შესახებ. ივ. გიგინეიშვილი გალაკტიონ ტაბიძის შესახებ წერდა: „მართლაც ძნელია სეთი დიდი შესაძლებლობის მქონე სხვა პოეტის დასახელება, რომელსაც ასე ცოტა ეფიქროს ახალი სიტყვების შეთხზვაზე. ასეთი სიტყვები გალაკტიონ ტაბიძის ენაში სამებარია და მაინც, როდესაც პოეტი ამ გზას მიმართავს, იგი უმეტეს შემთხვევაში ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკულ და ლექსიკურ საშუალებათა ფარგლებში რჩება, ხელოვნური მის ლექსებში იშვიათად გვხვდება. პოეტი უმთავრესად მაინც ზმნათა წარმოებას მიმართავს სახელთა ფუძეებისგან, ან ისეთ ნაზმნარ სახელებს იყენებს, რომლებიც ამგვარი ნასახელარი ზმნებისგან მიღებულად უნდა ვივარაუდოთ“ [გიგინეიშვილი, 1993]. აქ ჩამოთვლილია ნასახელარ ზმნათა ფორმები: გალეჩაქდება, ეალუბლება, ააქაღალდა, აალაშკარა, შემოადიდა, ააქარცივებს, ითანდათანა, ესაკიდება, აშადრევენება...

მკვლევრის სამართლიანი დაკვირვებით, მართალია, ეს სიტყვები არ დამკვიდრებულან ქართული ენის ლექსიკურ ფონდში, მაგრამ არც რუსთაველის მიერ ნახმარი: „ფატმანს უსხსნია ჩემი მზე, სდედება და სდება“ დამკვიდრებულა ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში (იქვე).

რ. ჭიკაძეს საკითხი შესწავლილი აქვს გიორგი ლეონიძის პოეზიაში: „სიტყვაქმნადობა გ.ლეონიძის ლექსის ენის მიხედვით“ [ჭიკაძე, 2014]; ასევე, „ზმნური სიტყვათწარმოება და

ნასახელარ ზმნათა სემანტიკური დიფერენციაცია მხატვრულ ტექსტში ქართულში, „საენათმეცნიერო მივბანი“ ტ. XXVII, თბილისი, 2008 [ჭიკაძე, 2008].

საკითხი შესწავლილია XX საუკუნის ზოგი პოეტის შემოქმედებაში, გიორგი ლეონიძის მხატვრულ ენაში მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნებზე დაკვირვებით რ. ჭიკაძემ გვიჩვენა, რომ გარდაქცევითობას გამოხატავს არა მხოლოდ აწმყოს სამწევრიანი მოდელი (ა+ფუძე+სუფიქსი), არამედ ორწევრიანი მოდელიც (ა+ფუძე), რომელიც აორისტის ფუძეს ეყრდნობა: **ამბივია, დაალმურა, განასხეულა, გააქვიტკირა, გააშარავა, გამოამტევნა, დაცხედრა, გაატრამალა, დავიემბაზეთ, გავიტრამალეთ, დაგინამქერა, დაგიმარჯნო, დაუხავსა, დაუზვარაკა, გაუყამირა, გაიბუნავა, დამითილისმოს.**

ამ ზმნათა აწმყოს ფუძე მხოლოდ ებ თემისნიშნანია: ახავერდებს, დაალმურებს, გააქვიტკირებს, დავიემბაზებს [ჭიკაძე, 2008: 262-263].

მკვლევრის დაკვირვებით, გარდაქცევითობის გამომხატველ მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა მოდელია: ა-//ი-//უ- + სახელის ფუძე + -ებ თემის ნიშანი.

მოქმედებითი გვარის ინსტრუმენტატივები ნაწარმოებია მოდელით: სახელის ფუძე+ ავ სუფიქსი: ჰრკალავს, ვკბილავდი, ვმარგალიტავდი, ნისლავდეს, ამოვლექსავ.

ამგვარ ზმნათა აორისტში ზმნისწინია სიტყვაწარმოებითი ელემენტი: **დათასმა გალამპრა, დანესტრა, დანისლა, დასუდრა, დაცეცხლე, დახორბლა, მოვმარგალიტო** [იქვე, 265]

მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოებისას ინსტრუმენტატივის გამოსახატავად გამოიყენება მოდელები: ი- + სახელის ფუძე + ავ თემის ნიშანი (გ-ი-ლამპრ-ავ-ს.); უ- + სახელის ფუძე + ავ თემის ნიშანი (უ-ნისლ-ავ-ს.); ა- + სახელის ფუძე + -ებ თემის ნიშანი (შე-ა-ნამქერ-ებ-ს.); ნამყო ძირითადად კი სიტყვაწარმოებითს ფუნქციას ითავსებს ზმნისწინი.

მკვლევარი ასკვნის: „გიორგი ლეონიძის ნაწარმოებთა ენის მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოქმედებითი გვარის ახალ-ახალი ნასახელარი ზმნების წარმოებისას დიდი უპირატესობა ენიყება ხმოვანპრეფიქსულ მოდელს, ამიტომაცაა, გარდაქცევითობის გამომხატველი მრავალი ნეოლოგიზმი გვხვდება გ. ლეონიძის ენაში, რასაც ვერ ვიტყვით ინსტრუმენტატივის მნიშვნელობის მქონე ნასახელარ ზმნებზე. ალბათ ამის გამოა, რომ ეს უკანასკნელნი არღვევენ დაკანონებულ მოდელს და ინსტრუმენტატივის გამოსახატავად იყენებენ მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა ხმოვანპრეფიქსულ წარმოებასაც [იქვე, 266].

სუფიქსიანი ვნებითები გარდაქცევითობას გამოხატავენ: **დატრამალდა, ჩასპილუნძდენ, დაკამარავდა, დამუგუზლდეს**, მაგრამ ზოგჯერ სუფიქსიანი ვნებითები ინსტრუმენტატივის შინაარსს იძენენ: **გამოვარსკვლავდა.**

პრეფიქსიანი ნასახელარი ვნებითი კი ძირითადად ინსტრუმენტატივობის მაჩვენებელი არიან: **ამოიხავსა, იხარკებოდა, გაიმტკავლება, იფარჩება, ვილამპრები...**

გიორგი ლეონიძის ენაში მოსალოდნელი სუფიქსურის ნაცვლად ნასახელარ ზმნათა პრეფიქსული წარმოება კახური დიალექტის გავლენადაა მიჩნეული [ჭიკაძე, 2008:268].

საშუალო გვარის ნასახელარ ზმნათა საწარმოებელია -**ობ** თემის ნიშანი: **ავთანდილობდი, ვეფხობდა, ზაფხულობდი, ზღაპრობდით, ვლექსობდით, მინანქარობს, მინდორობს, მონადირეობს, საზანდარობს.**

მაშასადამე, საშუალო გვარის ახალ-ახალი ნასახელარი ზმნების მოდელი ორწევრიანია: სახელის ფუძე+თემის ნიშანი (იქვე).

გიორგი ლეონიძისვე ენას სწავლობდა ელ. კოშორიძეც. სტატიაში „გიორგი ლეონიძის ქართული“ გამოყოფს ნასახელარ ზმნებს, რომლების ფუძეებიც დიალექტურია, მთის კილოთა კუთვნილებაა: ფშავ-ხევს.: **დაადიდებდა** (ზვარაკად შეწირვისას დიდებას იტყოდა), **მოჭქირსლავს** (წვრილ-წვრილად მოთოვს), მოხევ.: **მოიქუეშია** (დაჯაბნა, ქვეშ მოიგდო), **გაიჯეჯილებს** (გათამამდება), **დაუბეჯითეს** (აქტიურად შეაძლიეს), **შეიმარეშოს** (იმერ. მარეშალი||მარეშელი, წვრილფეხა საქონლისა და შინაურ ფრინველთა წარმართული ღვთაება).

ძველქართული სიტყვა **ზუზღაა** (ბაღლამი, წყლული- ილ. აბ.) ფუძე ზმნისა **დაზუზღავდა** (ტკივილიანი სიარული), სულმოკლისგან უწარმოებია **დაასულმოკლა** და ძველქართული მნიშვნელობა შეუნარჩუნებია [კოშორიძე, 2010: 84- 85].

მ. ლაბარტყავამ იკვლია ავტორისეული, ინდივიდუალური „ახალი სიტყვა“ თანამედროვე პოეზიაში. ჯემალ აჯიაშვილის პოეზიაში გამოყოფს „**ვესასთუმლები**“, **ვევარგისები**“; **გესანთლება და გესაკმევლება**“; „**მიიფრთოსნება**“, „**მიაფრთამალებს**“; **შეემტევენები**“; **მოავენახებს**“ და ა.შ. ფორმებს.

რატი ამალაობელთან გვაქვს გამიწვიმ-ავდარ-ამინდა“ (ბედმა დღეები). როგორც ვხედავთ, **ვესასთუმლები, ვევარგისები, გესანთლება, გესაკმევლება, შეემტევენები, მიაფრთამალებს, მოავენახებს, გამი-წვიმ-ავდარ-ამინდა** მწერლისეული ნეოლოგიზმებია [ლაბარტყავა, 208].

შ. ლორთქიფანიძის დისერტაციაში ყურადღება გამახვილებულია ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ნასახელარ ზმნათა სიუხვეზე: საწარმოებლად აღებულია სხვადასხვა სახელი: **დადაფნავენ, ვაფარდაგებ, გაავთანდილო, იასმათა, გავიმარაბდებთ, იხვავთაგანა, იავგაროზა, გავაცრემლვარე, გადავევრანდები, გაქუნჩლა, ჩაქუნჩლა, ისაწნახელა, გაუგანგანდეს, აგახელფეხოს, წაგახვალის, გამძუვდა და გალაყაფდა** [ლორთქიფანიძე, 2018].

ოკაზიონიზმი, როგორც კ. დანელია შენიშნავს, ფასდება საკომუნიკაციო ინფორმაციულობის ასპექტით, რაც გულისხმობს იმას, რომ უჩვეულო ფორმა ინფორმაციულობასთან ერთად უთოუდ გარკვეულ ემოციურ შეფერილობასაც შეიცავს [დანელია, 1998:384].

ოკაზიური ლექსიკური ერთეული, ე.წ. ერთჯერადი სიტყვა თუ სალიტე-რატურო ენაშიც იმკვიდრებს ადგილს, ლექსიკური ფონდის გამდიდრების საშუალებაცაა.

ლიტერატურა:

1. გიგინეიშვილი ივ., სიტყვაწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“, სადისერტაციო შრომა, თბილისი, 1944;

2. გიგინეიშვილი ივ., სიტყვაწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“, ქსკს წიგნი XIV. თბილისი, 2014;

3. გიგინეიშვილი ივ. დაკვირვება გალაკტიონ ტაბიძის ენაზე, ქსკს წიგნი X. თბილისი, 1993;

4. დანელია კ., „ჩახრუხადისა და შავთელის ხოტბათა ენის პოეტური და ლინგვისტური ანალიზის ცდა“, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან. თბილისი, 1998;

5. ზექალაშვილი რ., კიკნაძე ელ., ზმნური ნეოლოგიზმები ქართულ პოეტურ დისკურსში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2015;

6. ზვიადაძე თ., „მწერლის ენის საკითხები“, თბილისი. 2009.

7. კარტოზია გ., „ერთი ნასახელარი ზმნა „ვეფხისტყაოსანში“. საიუბილეო კრებულში „გიორგი როგავას“, თბილისი, 1997;

8. კოშორიძე ელ., გიორგი ლეონიძის ქართული, გ. ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის IV სამეცნიერო სესია (მასალები), თბ. 2010.

<http://literaturatmcodneoba.tsu.ge/leqsmcodn-III.pdf>

9. ლაბარტყავა მ., მწერლური ნეოლოგიზმებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ტერმინოლოგიის საკითხები III. თბილისი, 2018;

10. ლორთქიფანიძე შ., ზურაბ გორგილაძის პოეტური ენა და სტილი. სადოქტორო დისერტაცია. ბსუ, ბათუმი, 2018.

https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_10069_1.pdf

11. ღვინაძე თ., ვნებიითი გვარის ფორმათა წარმოებისა და გამოყენების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში, ქსკს, VI. თბილისი, 1984:

12. შანიძე, 1956: შანიძე ა., ვეფხისტყაოსნის სიმფონია, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 3, თბილისი;

13. ძიბიგური შ., დ. გურამიშვილის ენა, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბილისი, 1971;

14. ჭიკაძე რ., ზმნური სიტყვათწარმოება და ნასახელარ ზმნათა სემანტიკური დიფერენციაცია მხატვრულ ტექსტში ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XXVII, თბილისი, 2008. 260-273;

15. ჭიკაძე რ., ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.

Nato Beridze

Solhumi State University

Ocaasional forms of nominal verbs in modern Georgian poetic discourse

Abstract

Verbal occasionalism is abundant in the language of Georgian fiction; Along with informativeness, these unusual forms are characterized by brevity and emotional coloring.

In the modern Georgian poetic discourse, the production models of verbal occasionisms according to the surname, paronomasian syntagms, where the name of the same root stands next to the named verb (subordinate, direct addition or other member of the sentence, punitive neologisms of an ironic tone, as well as productive stems and adverbial elements of such verbs.

Semantic and stylistic nuances are also important, which together with informativeness, indicate the wide word-making potential and flexibility of the Georgian language.

To express the instrumentality in active verbs in the present tense, a three-part model is used: 1) I+noun+stem+av; 2) U- +noun stem+av; 3) A- = base of the name _topic sign.

In the main participle, the preverb is used as a wordforming function. Verbal instrumentals are formed by a twopart model:noun+stem+av theme marker

In the case of medioactive and mediopassive verbs, there is two-part model: noun stem+ subject sign. The nominal verbs has the marker -ob, when the active verbs has the marker eb,av, in the passive voice forms has the marker -eb.

Nouns, adjectives, numerals and adverbs are used to form new verbs. In short, the new form of the verb is obtained by adding affixes from other parts of speech.

რეცენზენტი: პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი